პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

СССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 95 (19237) ოთხშაბათი, 24 აპრილი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება და გადაწყვიტა სკკპ მორიგი, XXVII ყრილობა მოწვეულ იქნას 1986 წლის 25 თებერვალს.

დამტკიცებულია ყრილობის დღის წესრიგი.

პლენუმმა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გამო მიიღო დადგენილება.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1985 წლის 23 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, რომელმაც გააკეთა მოხსენება „სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ“.

ამ საკითხის გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ა. კუნაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ვოროტნიკოვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ე. ა. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ნ. ზაიკოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ი. კლიმჩენკო — ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „მინსკის სატრაქტორო ქარხნის“ მეინსტრუმენტე ზეინკალი, კ. ბ. ვაინო — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ფილატოვი — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ა. ვ. ვლასოვი — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ნ. ფედოსეევი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბ. ვ. ბალმონტი — ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი.

პლენუმმა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გამო მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაიყვანა ვ. მ. ჩებრიკოვი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან პოლიტბიუროს წევრად, აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები — ი. კ. ლიგაჩოვი და ნ. ი. რიჟკოვი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. ლ. სოკოლოვი აირჩია ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. პ. ნიკონოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

ამხანაგებო! ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა და სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ გუშინ ზეიმით აღნიშნეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 115 წლისთავი.

მთელი ცხოვრება, ისტორიის მთელი მიმდინარეობა დამჯერებლად ადასტურებენ ლენინური მოძღვრების დიად სიმართლეს. იგი ჩვენთვის იყო და არის მოქმედების სახელმძღვანელო, თაგადნენის წყარო, უტყუარი კომპასი წინსვლის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრაში.

ლენინი კომუნისტებს ასწავლიდა ყოველთვის შშრომელთა ინტერესებით ეხელმძღვანელათ, ღრმად ჩასწვდომოდნენ ცხოვრებას, რეალისტურად, კლასობრივი პოზიციებიდან შეეფასებინათ საზოგადოებრივი მოვლენები, მუდამ შემოქმედებითად ეძებნათ კომუნიზმის იდეალების განხორციელების საუკეთესო გზები.

ლენინი, მისი დიადი იდეებით ვამოწმებთ დღეს ჩვენს საქმეებსა და გეგმებს, ლენინის ანდერძით ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.

ჩვენმა პლენუმმა უნდა განიხილოს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხები — პარტიის მორიგი XXVII ყრილობის მოწვევა და მის მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებული ამოცანები.

პოლიტბიუროს შემოაქვს წინადადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების შესაბამისად პარტიის მორიგი ყრილობა გაიმართოს 1986 წლის 25 თებერვალს. არის წინადადება ყრილობის დღის წესრიგში შეეტანოთ შემდეგი საკითხები:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის ამოცანები.
2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია.
4. ცვლილებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში.
5. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები.
6. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშების, აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების საკითხის გამო მხედველობაში გვაქვს მოვისმინოთ და განვიხილოთ შესაბამისი მოხსენებები, რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციასა და წესდების ცვლილებებს, მათი არსი შეიძლება გაშუქდეს ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში და ცალკე მოხსენებები არ გაკეთდეს.

წინადადებაა ყრილობაზე აირჩიოთ ერთი დელეგატი 3670 კომუნისტისაგან, ესე იგი სულ 5 ათასი კაცი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს კარგად წარმოვადგინოთ ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაცია, აესახოთ მისი სოციალური და ეროვნული შემადგენლობა.

ყრილობამდე დარჩენილ ათ თვეში ყოველმხრივ უნდა გავაანალიზოთ და რეალისტურად შევაფასოთ XXVI ყრილობის შემდეგ გაწეული შუშაობის შედეგები, განვსაზღვროთ შემდგომი განვითარების პერსპექტივები, სამნაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანები. უნდა მოვამზადოთ უმნიშვნელოვანესი, და უწინარეს ყოვლისა ისეთი ფუძემდებელი დოკუმენტები, როგორიც არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, განვითარების უახლოესი ხუთწლედისა და მომდინარე საუკუნის დამლევამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები, განვიხილოთ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, შემდეგ კი ფართოდ ვიმსჯელოთ პარტიასა და ქვეყანაში. დიდ ყურადღებას მოითხოვს მაღალ დონეზე პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობა, მეთერთმეტე ხუთწლედის ღირსეულად დასრულება.

ერთი სიტყვით, ეს იქნება დაძაბული და მრავალმხრივი მუშაობის — პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზატორული, იდეურ-თეორიული მუშაობის ხანა.

დღეს კვლავ ვადასტურებთ პარტიის XXVI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შეფასებული სტრატეგიული ხაზისადმი მემკვიდრეობითობას. ლენინური გაგებით, მემკვიდრეობითობა ნიშნავს უცილობელ წინსვლას, ახალი პრობლემების გამოვლენასა და გადაწყვეტას, ყოველივე ამის აღმოფხვრას, რაც განვითარებას ხელს უშლის. ამ ლენინურ ტრადიციას უნდა ვასრულებდეთ განუხრელად, ვამდიდრებდეთ და ვავითარებდეთ ჩვენს პარტიულ პოლიტიკას, ჩვენს გენერალურ გზას — განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სრულყოფის გზას.

მომავალი სკკპ XXVII ყრილობა, უეჭველია, იქნება საეტაპო ნიშანსვეტი ქვეყნის განვითარებაში. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს განსახილველი საკითხების უაღრესი აქტუალურობა, ახლადდელი პერიოდის ხასიათი, იმ ამოცანების სიახლე და მასშტაბურობა, რომლებიც საზოგადოების წინაშე ისახება. ეს პარტიის მთელ ყრილობისწინა მუშაობას განსაკუთრებულ ძალიერებას ანიჭებს, მოითხოვს შექმნილი სიტუაციის ღრმა გაგრძებას, გაბედულ გადაწყვეტილებებსა და ენერგიულ მოქმედებას.

ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ეყრდნობა რა ახალი წყობიერების უპირატესობებს, მან ისტორიულად მოკლე ვადაში მიაღწია ეკონომიკური და სოციალური პროგრესის შეგრძნელებს. საბჭოთა კავშირს ახლა აქვს მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული ეკონომიკა, ჰყავს მუშათა, სპეციალისტთა, მეცნიერთა კვალიფიციური კადრები. წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ბევრი მიმართულებით მტკიცედ გვიკავია წამყვანი პოზიციები მსოფლიოში.

ღრმა ცვლილებები მოხდა სოციალურ ცხოვრებაში. ისტორიაში პირველად შშრომელი კაცი გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი, საკუთარ ბედის შემოქმედი. გარანტირებული შრომის უფლება და მისი ანაზღაურება, საზოგადოების ზრუნვა ადამიანისათვის დაბადებიდან ღრმა მოხუცებულობამდე, იმის შესაძლებლობა, რომ ფართოდ ეზიარო სულიერ კულტურას, პიროვნების ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, მართვაში შშრომელთა მონაწილეობის გაუხრელი გაფართოება — ყოველივე ეს სოციალისტური ცხოვრების წესის წარუვალი ღირებულებანი, მისი განუყოფელი ნიშნებია. ეს არის პოლიტიკური სტაბილურობის, სოციალური ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის უმნიშვნელოვანესი წყარო.

ყოველივე ამით სამართლიანად ამაყობენ საბჭოთა ადამიანები. მაგრამ ცხოვრება, მისი დინამიზმი გვაკარნახებს იმის საჭიროებას, რომ მოვახდინოთ შემოგდმი ცვლილებები და გარდაქმნები, მივაღწიოთ საზოგადოების ახალ თვისებრივ მდგომარეობას, თანაც ამ სიტყვის უფრთოესი მნიშვნელობით. ეს გახლავთ უწინარესად წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განახლება და შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევა. ეს გახლავთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფა. ეს გახლავთ ღრმა ცვლილებანი ადამიანების შრომის, ცხოვრების, მატერიალური და სულიერი პირობების სფეროში. ეს არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მთელი სისტემის გააქტიურება, სოციალისტური დემოკრატიის, ხალხის თვითმმართველობის გაღრმავება.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტწლად განსაზღვრავს თვისებრივი ძვრები ეკონომიკაში, ინტენსიური ზრდის რეცხებზე მისი გადაყვანა, ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა ვაფასებდეთ სახალხო მეურნეობის მდგომარეობას და განვსაზღვრავდეთ სამომავლო ამოცანებს.

ცნობილია, რომ ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაში მიღწეულ წარმატებებთან ერთად გაძლიერდა არახელსაყრელი ტენდენციები, წარმოიქმნა ბევრი სიძნელე. პარტიის აქტიური მუშაობის წყალობით, 1983 წლიდან მოყოლებული, შევძელით გაგვეაქტიურებინა სახალხო მეურნეობის მრავალი რგოლის მუშაობა და რამდენადმე გაგვეუმჯობესებინა ვითარება. მაგრამ სიძნელეები სულაც არ არის დაძლეული, და გვარიანი ძალისხმევაა დგებგვერდება სწრაფი წინსვლის სამიდო საფუძველის შესაქმნელად.

რა არის სიძნელეთა მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხს, როგორც იქით, პარტიისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ბუნებრივი და მთელი რიგი გარეშე ფაქტორები. მაგრამ მთავარი, ჩემი აზრით, მაინც ის არის, რომ დროულად და ჯეროვნად ვერ შეეფასეთ ცვლილებები წარმოების განვითარების ობიექტურ პირობებში, ის, რომ საჭირო იყო მისი ინტენსიფიკაციის დაჩქარება, მეურნეობრიობის ეფექტიანობის გარდაქმნა, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვერ გამოვიჩინეთ სიმტკიცე ეკონომიკურ სფეროში დიდი ფონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

ამხანაგებო, ღრმად და ბოლომდე უნდა გავიაზროთ შექმნილი სიტუაცია და ყველაზე სერიოზული დასკვნები გამოვიტანოთ. ქვეყნის ისტორიული ბედი, სოციალიზმის პოზიციები თანამედროვე მსოფლიოში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ წარვმართავთ შემდგომში საქმეს. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები, სოციალისტური მეურნეობრიობის ფორმები შეეუსაბამოთ თანამედროვე პირობებსა და მოთხოვნილებებს და ამით მივაღწიოთ სოციალურ-ეკონომიკური პრაგრესის არსებითს დაჩქარებას. სხვა გზა საერთოდ არა გვაქვს.

ამთ განსაზღვრება დღეს სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის წარმატება, ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ისტორიის ახლანდელ, უაღრესად მნიშვნელოვან მონაკვეთზე. და ჩვენ, კომუნისტები, მოვალენი ვართ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ვიყოთ ამ პასუხისმგებლობის სიმაღლეზე, დროით ნაკარნახევი დიდი ამოცანების დონეზე.

ახლა მთავარი საკითხია: როგორ და რის ხარჯზე შეძლებს ქვეყანა მიაღწიოს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. ამ საკითხის პოლიტბიუროში განხილვისას ჩვენ ერთსულოვნად მივედით დასკვნამდე, რომ ამის რეალური შესაძლებლობანი გვაქვს. ზრდის ტემპის დაჩქარება, თანაც არსებითი დაჩქარება ამოცანის შესრულება სავსებით შესაძლებელია, თუ მთელი ჩვენი მუშაობის ცენტრში დავაყენებთ ეკონომიკის ინტენსიფიკაციასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, გარდაქმნით მართვასა და დაგეგმვას, სტრუქტურულ და ინვესტიციურ პოლიტიკას, ყოველნაირად ავამაღლებთ ორგანიზებულობასა და დისციპლინას, ძირეულად გავაუჯობესებთ საქმიანობის სტილს.

ჩემი აზრით, პლენუმის მონაწილეები მხარს დაუჭერენ ასეთ დასკვნას.

შედარებით სწრაფი ეკუნგება შეიძლება მივიღოთ, თუ ავამოქმედებთ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ რეზერვებს და, უწინარეს ყოვლისა, გავაკეტილიერებთ ადამიანის ფაქტორს, მივაღწევთ იმას, რომ თითოეული თავის ადგილზე მუშაობდეს კეთილსინდისიერად და სრული უკუგებით.

თუ რაოდენ დიდი შესაძლებლობები გვაქვს აქ, ითქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მუშებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან და მეცნიერებთან გამართულ ამასწინანდელ თათბირზე. როცა საჭირო ხდება, აღნიშნეს ამ თათბირის მონაწილეებმა, მარტო იმის წყალობით, რომ კოლექტიეები და მათი ხელმძღვანელები როგორლაც აქტიურდებიან, უკეთ მუშაობს იწყებენ, ხერხდება მოკლე ვადაში შრომის ნაყოფიერების ისეთი ოღენობით გადიდება, რომ ზოგჯერ მთელი ხუთწლედის საგეგმო დავალებებს უტოლდება.

და ასეთი რეზერვები არის თითოეულ საწარმოში და მშენებლობაზე, თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. და ეს ყველაზე უკეთ თვით შშრომელთა კოლექტიეებმა, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა იცით. მაშასადამე, ბევრი რამ არის დამოკიდებული საქმისათვის მათს პასუხისმგებლობაზე, აქტიურობაზე, უნარზე, დაინტერესონ ადამიანები წარმოების ზრდის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით, მისი ეფექტიანობის ამაღლებით.

პასუხისმგებლობისა და დისციპლინის საკითხის მნიშვნელოვანი მხარეა ნედლეულის, სათბობის, მაკომპლექტებელი ნაწარმის, ეაგონების დროული და ხარისხიანი მიწოდება და ა. შ. და აქ მუდამ ნთელია, თუ ვინ ეჭოდა აგოს პასუხი და ვის უნდა მოვკითხოთ. სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების ბაზე გარკვეული ძვრები დაისახა. ისინი უნდა განვითარდეს, რისთვისაც საჭიროა უფრო მკაცრად მოვკითხოთ ყველას სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის და არავითარი შეღავათები არ მივცეთ ობიექტური პირობების გულისთვის.

მეორე რეზერვი, რომელსაც გამეედულად უნდა მოვკიდოთ ხელი, — ეს გახლავთ ბრძოლა მფლანგველობისა და დანაკარგების წინააღმდეგ. ბევრი სამინისტროსა და საწარმოს ხელმძღვანელები ცდილობენ სახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი კაპიტალდაბანდებანი, ჩარხები და მანქანები, ნედლეული და სათბობი „გამოსტყუონონ“. ამავე დროს ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათს რაციონალურ გამოყენებას. არსებული მოწყობილობა ზოგჯერ უმოქმედოდ არის ან მთლიანად არ გამოიყენება.

ან კაპიტალურ შშენებლობაში რა ხდება? ბევრი ობიექტი მეტისმეტად დიდხანს შენდება. ეს იწვევს დიდძალ მატერიალურ ფასეულობათა გამკვდარებას. ყოფნდება სიმძლავრეთა ზრდა, ქვეყანა დროზე ვერ იღებს საჭირო პროდუქციას.

დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმა. საწარმოებისა და ახალშენებლობების საწყობებში დაგროვდა დიდძალი დაუდგმელი მოწყობილობა. მნიშვნელოვანია მატერიალურ ფასეულობათა უშუალო დანაკარგები ცემენტის, ქვანახშირის, მინერალური სასუქებისა და ხე-ტყის, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სასურსათო საქონლის დაუდეკარი გადაზიდვის, შენახვისა და ხარჯვის გამო.

ასეთ განაგებას დაუფარებელ ეუნდა მოვუღოთ ბოლო. როგორც ჩანს, მარტოოდენ მოწოდებებით ვერაფერს გავხდებით — ამ ხერხსთან ერთად მიგვიმართავს. უფრო მკაცრად უნდა მოვკითხოთ კონკრეტულ პირებს, მათ შორის საკანონმდებლო წესითაც, ყველა მატერიალური ფასეულობის დაცვა-შენახვისა და სწორი გამოყენებისათვის. ჯეროვანი წესრიგი უნდა დავამყაროთ თითოეულ საწარმოში და შშენებლობაზე, თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თითოეულ ორგანიზაციაში. უამისოდ ლაპარაკიც კი ზედმეტია რაიმე რაციონალურ მეურნეობრიობაზე, ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე.

სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, დგარონილი პოტენციალის უკეთ გამოყენების მთავარ სტრატეგიულ ბერკეტად პარტია წინა პლანზე აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას. ივნისში დასახულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოეწყოს სპეციალური თათბირი, რომელზეც განვიხილავთ ამ საკითხს. დღეს მინდა გამოვთქვა ზოგიერთი პრინციპული მოსაზრება.

. მეტწილ დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მიმდინარეობს ღუნედ, არსებითად ევოლუციურად — უპირატესად მოქმედი ტექნოლოგიების სრულყოფის, მანქანა-მოწყობილობის ნაწილობრივი მოდერნიზაციის. გზით. რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებანი გარკვეულ უკეგებს გვაძლევენ, მაგრამ იგი ძალზე მცირეა. საჭიროა რევოლუციური ძვრები — საჭიროა გადავიდეთ პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე, უკანასკნელი თაობის ტექნიკაზე, რომლებიც უმადლეს ეფექტიანობას გვაძლევენ. საქმე არსებითად ეხება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განახლებას.

ეს საკითხი მეწყვიდან დგას იმიტომაც, რომ ბოლო ხანს ძალზე მოძველდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო აპარატი, შემცირდა ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტი. მეთორმეტე ხუთწლედში უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს მოწყობილობის შეცვლის კოეფიციენტის არსებითი გადიდება.

აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მანქანათმშენებლობას. მის განვითარებას პრიორიტეტული ხასიათი უნდა მივანიჭოთ და უკვე მეთორმეტე ხუთწლედში ერთნახევარ-ორჯერ დავაჩქაროთ დარგის ზრდის ტემპი. მთავარი ამოცანა სწრაფად გადავიდეთ ახალი თაობების მანქანა-მოწყობილობის წარმოებაზე, რომლებსაც შეუძლოთ უზრუნველყონ პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მრავალგზის გაზრდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ მასალატევადობა, ამაღლონ ფონდფუძეგება. უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩარხმშენებლობის სრულყოფას, გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკისა და ელექტრონიკის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კატალიზატორების, განვითარების დაჩქარებას.

თუ ამ ამოცანებს გავითვალისწინებთ, ნორმალურად ვერ მივიჩნევთ ინვინლური შრომის პრესტიჟის დაქვეითებას. აქ ყველაფერი რიგზე როდია, და ჩვენ უნდა გავზარდოთ ოსტატების, ინჟინრების, კონსტრუქტორების, ტექნოლოგების როლი და ავტორიტეტი, გავაძლიერთ მათი შრომის მატერიალური და მორალური სტიმულები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის დაჩქარება განუყოფელია პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისაგან. ის, რომ პროდუქციი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტექნიკურ-ეკონომიკურ, ესთეტიკურ — ყველა სამომხმარებლო მოთხოვნას, ზოგჯერ კი აშკარად წუნიანიც არის, არსებითად ნიშნავს მატერიალური რესურსების დატაცებას, ჩვენი ხალხის შრომის გაფლანგვას. სწორედ ამიტომ პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესება ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში უნდა იყოს. ხარისხი და კიდევ ერთხელ ხარისხი — აი ჩვენი დღევანდელი ლოზუნგი. თუ ხარისხის პრობლემას გადაეწყვეტთ, შევძლებთ რაოდენობის პრობლემის გადაჭრასაც. ეს თანამედროვე ტექნიკაზე ქვეყნის მოთხოვნილებების, სხვადასხვა სახეობის საქონლეზე მოსახლეობის მზრდი მოთხოვნის სულ უფრო სრული დაკმაყოფილების, სახალხო მეურნეობაში დეფიციტების დაძლევის ერთადერთი საიმედო გზაა.

რა საკითხსაც უნდა ვიხილავდეთ, რა მხრიდანაც უნდა ვუდგებოდეთ ეკონომიკას, საბოლო ანგარიშით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ საჭიროა მართვის, მთლიანად სამეურნეო მექანიზმის სერიოზული გაუმჯობესება. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მუშებთან და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ამასწინანდელი შეხვედრის, აგრეთვე ლიბაჩოვის სახელობის ქარხანაში ყოფნის დროს. შეხვედრების მონაწილეები დიდი შეშფოთებით ლაპარაკობდნენ იმაზე, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ, როდიერ გარითულდა მუშაობის პირობები მართვის არასრულყოფილი სისტემის, წესრიგმანი რეგლამენტაციისა და უზომო ქაღალდთმოხმარების გამო. ამ მდგომარეობიდან ერთი გამოსავალია: საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ენერგიული ღონისძიებანი მართვის პრობლემების მთელი კომპლექსის მიხედვით.

ახლა ჩვენთვის უფრო ნათელია სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის კონცეფცია. კვლავაც უნდა განვავითაროთ ცენტრალიზებული საწყისი სტრატეგიულ ამოცანათა გადაწყვეტაში და ამავე დროს უფრო გაბედულად ვიარითო წინ საწარმოთა უფლებების, მათი დამოუკიდებლობის გაფართოების გზით, ენერგიულად სამეურნეო ანგარიშს და ამ საფუძველზე ვზრდი-

(გაგრძელება 3ე-ე 3ე.)

სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ

(გაგრძელება)

დეთ შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობას და დაინტერესებას მუშაობის საბოლოო შედეგებთი.

ამ დიდი მასშტაბის ექსპერიმენტის შედეგები, რომელიც აგ მომართულებთ ხორციელდება, თითქოსდა ურიგო არ უნდა იყოს. მაგრამ მთლიანად ისინი ვერ დაგვაკმაყოფილებენ. უკვე მივაღწიეთ ისეთ მიჯნას, როცა ეკსპერიმენტიდან უნდა გადავიდეთ მეურნეობრიობისა და მართვის მთლიანი სისტემის შექმნაზე. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა დავიწყოთ მუშაობის და სამეურნეო მართვის ზედა ეშელონების პრაქტიკული გარდაქმნა, უწინარეს ყოვლისა მიზნად დავუსახოთ მათ ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტა, მეცნიერებისა და წარმოების შერწყმის ყველაზე ქმედითი ფორმების ძიება.

ცხოვრება უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს დაგეგმვას, რომელიც მართვის ღერძია. იგი უნდა გახდეს წარმოების ინტენსიფიკაციის, პროგრესული სამეურნეო გადაწყვეტების განხორციელების აქტიური ბერკეტი, უზრუნველყოფდეს ეკონომიკის შეწონასწორებულ და დინამიკურ ზრდას. ამასთან გაერთიანებებისა და საწარმოების გეგმები უნდა განეტვირთოთ მაჩვენებელთა სიმრავლისაგან. უფრო ფართოდ გამოიყენონ ეკონომიკური ნორმატივები, რომლებიც ინიციატივისა და გერგილიანობის სარბიელს სახავენ.

დროა შეეფდგეთ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფას, გავაუქმოთ ზედმეტი რგოლები, გავამარტივოთ აპარატი, გავზარდოთ მისი ეფექტიანობა. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ მართვის ზოგიერთი რგოლი დაბრკოლებად გადაიქცა და წინსვლას აფერხებს. მკვეთრად უნდა შევზღუდოთ ინსტიტუციები, დეპარტამენტები, მეთოდიკების რიცხვი, რომლებიც ზოგჯერ, თვითნებურად განმარტავენ ჩვენ პარტიასა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ბოჭავენ საწარმოთა დამოუკიდებლობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სამეურნეო ანგარიშის პრინციპები გავაცნოთ ყველა ჩარეულდს შრომითს უჯრედს, თითოეულ მუშას. ეს საშუალებას მოგვცემს ზემოდან მართვის სისტემის სრულყოფის ღონისძიებანი დავუკავშიროთ ქვემოდან შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების კოლექტიური ფორმების, განვითარებას, გავაძლიეროთ მშრომელთა აქტიურობა.

არანაკლებ საჭიროა გავზარდოთ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვაში, მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. მაგრამ ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა კიდევ უფრო გავიფართოოთ ადგილობრივი ორგანოების უფლებები, გავაძლიეროთ მათი ინიციატივა და დაინტერესება წარმოების განვითარებით, რესურსების გამოყენებით, მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროს მოგვარებით. მაშასადამე, ადგილობრივი ორგანოები მთლიანად უნდა აგებდნენ პასუხს მათ კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხის გადაწყვეტისათვის, უფრო სწრაფად თავისუფლდებოდნენ სხვისი მოიმედობის განწყობილებისაგან.

ამხანაგებო! ჩვეულნი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმაღლეს აზრად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია ის, რომ განუხრელად, თანდათან აუმჯობესებდეს ხალხის კეთილდღეობას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეს, ქმნიდეს პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის პირობებს. ამასთან თანამიმდევრულად უნდა ვახორციელებდეთ მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა განაწილებაში სოციალური სამართლიანობის გახმატკიცებას, ეკონომიკის განვითარებასა და მისი ეფექტიანობის გაზრდაზე სოციალური ფაქტორების ზემოქმედების გაძლიერების გზაზ.

ამ გეზს სავსებით იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა ადამიანები. ახლა საქმე ის არის, რომ შეეფშეაოთ კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი, რათა განაწილების მექანიზმი გავწმინდოთ გათანაბრებისაგან, უზრუნველი შემოსავლებისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ ნორმებსა და ზნეობრივ იდეალებს, უზრუნველყოთო, რომ თითოეული მეშაკისა და თითოეული კოლექტივის მატერიალური მდგომარეობა პირდაპირ იყოს დამოკიდებული მათი შრომის შედეგებზე. პარტია კვლავაც ყველაზე გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც უცხოა სოციალისტური ცხოვრების ნორმებისთვის, ჩვენი კომუნისტური მორალისათვის.

ამჟამად საგულდაგულოდ ვამუშავებთ სოციალურ პროგრამას, რომელსაც პარტია გამოიტანს თავის XXVII ყრილობაზე. მაგრამ გვაქვს გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას. უკანასკნელი წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის განვითარებაში დადებითი ცვლილებები მოხდა, რამდენადმე გაუჯანსებულდა მოსახლეობის მომარაგება სასურსათო პროდუქტებით. მაგრამ ეს ჯერ კიდევ შორს არის იმისაგან, რაც გვჭირდება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, გადამშუშავებელ საწარმოებს აკვთ სასურსათო საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების შესაძლებლობანი. საჭიროა ამ შესაძლებლობებს თადარიგიანად განვაგებდეთ, ეფექტიანად ვიყენებდეთ არსებულ პოტენციალს.

ზოგჯერ არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი ორგანოები ცდილობენ ცენტრს დააკისრონ სურსათით მომარაგებისა და განსაკუთრებით საკვებით უზრუნველყოფის ყველა საზრუნავი. ასეთი პრაქტიკა მიუღებელია. ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად ავამუშავოთ სურსათის წარმოების გადიდების ყველა რეზერვი როგორც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე მოკალაქეთა და საწარმოთა დამხმარე მეურნეობებშიც.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, შევავსოთ იგი სერიოზული ღონისძიებებით, რომელთა მიზანია აგროსამრეწველო კომპლექსის გადამშუშავებელი დარგების განვითარება, მათი საწარმოების დაახლოება კოლმეურნეობამდე და საბჭოთა მეურნეობებთან. ასეთი დავალებანი მისცა პოლიტბიუროს სხრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და შესაბამის სამინისტროებს, და ისინი მთელი პასუხისმგებლობითა და საფუძვლიანად უნდა მიუდგნენ მათს შესრულებას.

კიდევ უფრო უნდა სრულყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვაც. აქ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული. უწყებრივი ინტერესების ზემოქმედებით რაიონულ და საოლქო გაერთიანებებს ხშირად არ შეუძლიათ ჯეროვნად შეთანხმებულად გადაწყვიტონ სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების კომპლექსური განვითარების საკითხები. თუ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მიწას უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი და აგროსამრეწველო გაერთიანებებს ეკისრებთ მთელი პასუხისმგებლობა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, — რაშიც, ეფეკრობ, არავის ექვი არ ეპარება, — უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს აგროსამრეწველო კომპლექსი ემართოთ, დავგეგმოთ და დავაფინანსოთ როგორც ერთი მთლიანი ყველა დონეზე. ჩვენ ასე დავთქვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ სამრეწველო საქონლისა და მომსახურებაზე მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილებისათვისაც, საქონლბრუნვა შეეავსოთ ბაზარზე საჭირო პროდუქციით, დავაბეგოთ ბაზარზე საჭირო პროდუქცია, გავუმჯობესოთ საქონლის ხარისხი და გავაფართოოთ მისი ასორტიმენტი, მეტი მოქნილობა მივანიჭოთ ფასების სისტემას, ავამაღლოთ ეკონომიკური კულტურა. ამ ამოცანების გადაწყვეტას ექვემდებარება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამა. იგი ითვალისწინებს მაღალხარისხოვანი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, თანამედროვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების არსებითს გადიდებას, მრავალფეროვან სახეობათა მომსახურების განვითარებას.

მალე ამ პროგრამას დავამტკიცებთ. ამავე დროს, როგორც იცით, მისი მთელი რიგი მომართულებების თათობაზე უკვე მიღებული ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. საქმე ეხება ფეხსაცმლის წარმოების გადიდებას, ადგილობრივი მრეწველობის, ბინების რემონტისა და შენებლობის დარგში მომსახურების გაენვითარებას, სატელეფონო კავშირით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებას. მთავარია, რომ საბჭოთა ადამიანებმა უკვე უახლოეს დროში იგრძნონ ვითარების გაუმჯობესება.

არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ ძვირები, რომლებიც გადაახალისებენ მოთხოვნის სტრუქტურაში ხდება. მშრომელებს სურთ თავიანთი შემოსავალი სულ უფრო მეტად მოახმარონ სახინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, დასვენებას, ტურიზმსა და სხვა მიზნებს. ასეთი მოთხოვნები და მოთხოვნილებანი უფრო სრულად უნდა კმაყოფილდებოდეს. ეს სასარგებლოა სახელმწიფოსთვისაც. მაგრამ ამ შესაძლებლობანი სუსტად რეალიზდება. ავიღოთ, თუნდაც, ისეთი კონკრეტული საკითხი, როგორიცაა მებადეობა-მებოსტნეობის აშხანაგობების განვითარება. ეს მეტად სასარგებლო საქმეა, მისსადმი ფართო ინტერესს იჩენენ, მაგრამ სათანადო განვითარება მან ჯერ კიდევ ვერ პოვა. მოთხოვნილება ბაღების ნაკვეთებსა და სახლებზე, საშენ მასალებსა და ინვენტარზე მთლიანად როდია უზრუნველყოფილი. პოლიტბიუროს, ძალზე დაფვრილებით განიხილა ეს საკითხი და დაავალა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა მაქსიმალურად გათვალისწინონ ადამიანთა მოთხოვნები, აღმოფხვრან დაუსაბუთებელი დაბრკოლებანი.

საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, მაშასადამე, პარტიის სოციალურ პოლიტიკაშიც სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ სფეროებს, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა და სახალხო განათლება. ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ მათ განვითარებაში, უზრუნველვყავით, რომ ყველა მოქალაქეს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ამ საარსებო მნიშვნელობის სიკეთეებზე. მაგრამ დღეს აქაც დგება ახალი ამოცანები.

თანამედროვე მოთხოვნების თვალსაზრისით არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამედიცინო მომსახურების ხარისხი, წამლებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ამ დარგში სერიოზულ ღონისძიებათა აუცილებლობის შესახებ ამას წინათ სჯა-ბაასი გაიმართა პოლიტბიუროში. ისინი უნდა გავითვალისწინოთ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებში.

ჩვენ დავიწყეთ სკოლის რეფორმა, რომლის მნიშვნელობა ქვეყნის მომავალისათვის ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს. ეა ახლა არა ფორმალურად, არამედ შინაარსიანად უნდა მივუდგეთ დასახულ ამოცანებს და რადიკალურად გავაუმჯობესოთ მოზარდ თაობათა სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის მათი მომზადება.

არის ბევრი სხვა საკითხიც, რომლებზეც საფუძვლიანად უნდა ვიფიქროთ და მოვიტანოთ გადაწყვეტის გზები. ეს არის შრომის ვეტერანთა და განსაკუთრებით იმათი მატერიალური მდგომარეობის გაუჯანსებება, რომლებიც უკვე დიდი ხანია დამსახურებულ პენსიაზე არიან, ახალგაზრდა ოჯახების ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესება და, რა თქმა უნდა, საჭიროა კვლავაც გავზარდოთ მეცადინეობა ისეთი სოციალური პრობლემის გადაწყვეტისათვის, როგორიცაა სამნაო პრობლემა, რათა პერსპექტივაში თითოეული ოჯახი უზრუნველყოთ ცალკე ბინით ან კეთილმოწყობილი სახლით.

ყველფერში, რაც ადამიანს, მის შრომას, მატერიალურ კეთილდღეობასა და დასვენებას ეხება, უაღრესად ყურადღებიანი უნდა ვიყოთ. ეს ჩვენთვის პოლიტიკის საკვანძო საკითხია.

ახლა შევეხოთ მიმდინარე, წლიური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებულ საქმეებს. იგი მთლად კარგად ვერ დავიწყეთ: პირველ კვარტალში სამრეწველო პროდუქციის მატებამ მხოლოდ ორი პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებით დაგვრიენ უკან ნავთობმა, ლითონმა, ენერგეტიკამ, ტრანსპორტმა, შემცირდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. უკეთ როდია თვითღირებულების, მოგების, სხვა მაჩვენებლების საქმე. აპრილში ვითარება რამდენადმე სწორდება, მაგრამ უნდა გავზარდოთ მეცადინეობა, რათა დარჩენილ რვა თვეში ავნაზღაურთო გაცდენები. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ამოცანა იოლი არ არის. მაგრამ საკითხი ასე დგას — 1985 წლის გეგმა უნდა შესრულდეს და ამასთან ყოველგვარი კორექტირების გარეშე. ამას უნდა ისახავდეს მიზნად სოციალისტური შეჯიბრება, მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

პასუხსაგები ამოცანებია დასახული სოფლის მშრომელთა წინაშე. ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ქვეყანა ვიგაზოთ მაღალი შედეგებით.

ამავე დროს უნდა უზრუნველვყოთ მომავალი წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის კარგად შემუშავება. ამისათვის მიზანშეწონილი იქნება უახლოეს ხანში საკონტროლო ციფრები და ნორმატივები გავაცნოთ სამინისტროებსა და უწყებებს, გაეფილიანებებსა და საწარმოებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად გავითვალისწინოთ შრომითი კოლექტივების წინადადებანი მთელი რეზერვების ამოქმედების შესახებ და, რაც მთავარია, ორგანიზებულად, მომავალი წლის დამდეგს დავიწყოთ ახალი მეთორმეტე ხუთწლედი, რომელსაც ენერგიული სტარტი უნდა ჰქონდეს.

ამხანაგებო! მხოლოდ ხალხის ცოცხალ შემოქმედებაზე, მის გონებაზე, ნიჭსა და შრომაზე დაყრდნობით შეიძლება გადავწყვიტოთ თანამედროვე ეტაპის რთული და მასშტაბური ამოცანები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეს ეხება. მათ შესასრულებლად უნდა დავრაზმოთ მილიონობითი შრომელი, ნიადაგ განვავითაროთ მუშთა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ინიციატივა და ენერგია, ავამოქმედოთ ის ამოუწურავი შესაძლებლობანი, რომლებიც სოციალისტურ საზოგადოებას აქვს, უფრო აქტიურად დავუჭიროთ მხარი ყველა სასარგებლო წამოწყებას.

ხალხს ავანგარდში მუდამ იყო და არის ლენინური პარტია, კომუნისტთა პარტია. დღეს იგი მოწოდებულია სათავეში ჰაუდგეს საყოველთაო-სახალხო მოძრაობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. სამართლე საჭიროა, რომ უახლოესი და პერსპექტიული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში ჩაებას თითოეული პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი.

ყრილობისათვის მზადება, მომავალი ანგარიშგებაარჩევნები ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებს, მასებთან მაფი კავშირის განმტკიცებას და საბოლოო ანგარიშები — პარტიის ხელმძღვანელი როლის გადიდებას.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დაიწყება პირველადი ორგანიზაციებით, რომლებიც პარტიის მთავარ პოტენციალს შეადგენენ. აქ პარტიის პოლიტიკა რეალურ საქმეებად ისახმს ხორცს. აქ განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს ჩვენი წარმატებანი და ნაკლოვანებანი, ჩვენი შესაძლებლობანი და რეზერვები.

სწორედ ამიტომ ასე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კომუნისტთა კრებებზე ღენინურად, ყალბი იდეალიზაციის, უაზრო დავის გარეშე, შეეაჯამოთ იმის შედეგები, რაც გაკეთდა, მისსალ-მისსალ შეეგროვოთ დადებითი გამოცდილება, უშიშრად ვამხილოთ ნაკლოვანებანი, გამოვავლინოთ წარმოების ზრდის, ეკონომიკის ეფექტიანობის მატების, საქმის გაუჯანსებესების შესაძლებლობანი და კონკრეტული გზები.

პარტიული კომიტეტების ვალია მაქსიმალურად იზრუნონ იმისათვის, რომ პირველადი ორგანიზაციების კრებები გაიმართოს საქმიანად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ბოლშევიკური გულახდილობის ვითარებაში, რათა განხილულ იქნეს კოლექტივების ცხოვრების საჭიროჩრტოა საკითხები, ყოველივე იმის აღმოფხვრის გზები, რაც მუშაობას აფერხებს. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ პარტიის თითოეულ წევრს შეეძლოს მხლიანად ისარგებლოს თავისი საწესდებო უფლებებით, შეჰკონდეს წინადადებანი და გამოთქვამდეს შენიშვნებს, რომ არც ერთი კრიტიკული გამოსვლა უყურადღებოდ არ დარჩეს.

დღეს განსაკუთრებით აქტიური წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხი. ეს არის დღის უცილობელი მოთხოვნა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს ესმით ფართოდ, ამასთან გულისხმობენ წესრიგს წარმოებასა და მომსახურების სფეროში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ყოფაში, თითოეულ შრომის უჯრედში, თითოეულ ქალაქში, თითოეულ სოფელში და ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ქვეყანაში მკეიდრდებოდეს ასეთი წესრიგი.

ცხოვრებამ ცხადყო, თუ რა ერთსულოვნად იწონებს ხალხი წესრიგის დამყარების ღონისძიებებს, რა მნიშვნელოვან შედეგებს გვაძლევენ ისინი. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ: ბოლო დროს ყურადღება ამ უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი, ცოტა არ იყოს, შესუსტდა. და აქ უწინარეს ყოველსა უფრო მკაცრად უნდა მოვკითხოთ კოლექტივების ხელმძღვანელებს, რომლებსაც აკისრიათ პერსონალური პასუხისმგებლობა დისციპლინისათვის. ზნირად ვაწყდებით იმასაც, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები აატეხენენ ხოლმე უდისციპლინობას მუშაკებს იმ იმედით, რომ ხელქვეითები თავის მხრივ აატეხენენ მათ შეცდომებს. ასეთი ურთიერთატეხების ფსიქოლოგიას ვერ შეეფრიგდებით.

დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის საჭიროა კიდევ ერთი აუცილებელი პირობა. თითოეულ უნდა აკეთებდეს თავის საქმეს, კეთილსინდისიერად ასრულებდეს თავის უშუალო მოვალეობებს. არსებითს შეღებავს ვერ მოვაღწევთ საქმიანობის ვერც ერთ სფეროში, სანამ პარტიული მუშაკი — მეურნის, ინჟინერი — მეკრიკის მაგიერობას ეწევა, სანამ მეცნიერი ბოსტნეულის ბაზაში იმუშავებს, მქსოველი კი ფერმაში. სამწუხაროდ, დღეს ხშირად ასეც ხდება. რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება უცილად არ შემმნილა, ზოგან განპირობებული გარკვეული სიძნელეებით, და ერთ დღეში ამას ვერ გამოსწორებ. გამოსწორება კი საჭიროა. მხოლოდ მაშინ შეეკლებთ და ნამდვილად აღმოფხვრით უპასუხისმგებლობასა და მოშვებულობას.

უფრო დიდი მოთხოვნები უნდა წაეუყენოთ მომავალი რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენციების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობების ტონს, საქმიანობასა და სიმუნვავეს. მაიზე არ უნდა დავუშვათ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ქება-დიდება და კომპლიმენტები, იმის ცდა, რომ ზოგადი სიტყვებით დაფარონ საქმის არსი, ნაკლოვანებანი გადაბარალონ ობიექტურ გარემოებებს ან უწყებრივ შეუთანხმებლობას.

იმედი გვაქვს, რომ ხელმძღვანელი კადრები, ცენტრალური კომიტეტის წევრები, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები უშუალო მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო პარტიულ კონფერენციებში, არამედ პირველადი ორგანიზაციების კრებებშიც, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კომუნისტთა ყრილობისწინა კოლექტიურმა ბეჭდვამ ყველაზე მაღალ კონსტრუქციულ და კრიტიკულ დონეზე ჩაიაროს.

მომენტის მთავარი ლოზუნგები, რომლებიც უნდა გახდეს ჩვენი ყრილობისწინა კრებების, პარტიის XXVII ყრილობისათვის მეეი მზადების ლაბორატორია, არის შემოქმედებითი შრომა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა, მომთხვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი. ეს სამაგალითონონ პარტიის თითოეულ წევრს საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებისათვის, პარტიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, პარტიულის პატიოსანი და სპეტაკი სახისათვის. კომუნისტი ფასდება მისი ქცევითა და საქმეებით. სხვა კრიტერიუმები არც არის და არც შეიძლება იყოს.

ანგარიშგება-არჩევნების დროს უნდა ჩამოვაყალიბოთ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები, შეეავსოთ ისინი ახალი ძალებით, გადავწყვიტოთ მომწიფებული საკადრო საკითხები. ამას წინათ გამართულმა პარტიული კომიტეტების პლენუმებმა ცხადყო, თუ რა მოწიფული კადრები ჰყავს პარტიას. ამავე დროს მთ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საჭიროა უმცროსად ვიცვადეთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინურ პრინციპებს. ეს, სადაც კი პრინციპები ირღვევა, სადაც მუშაკებს აწინაურებენ პირადი ერთგულების, მაამებლობის, პრინციპალობის საფუძველზე, გარდაუვალად ნელდება კრიტიკა და თვითკრიტიკა, სუსტდება კავშირი მასებთან და როგორც შედეგი — იფუშება მუშაობა.

პოლიტბიუროს პრინციპული მნიშვნელობის საქმედ მიიჩნია კვლავაც ახორციელებდეს პარტიული ხელმძღვანელობის სტაბილურობის უზრუნველყოფის, გამოცდილი და ახალგაზრდა მუშაკების სწორი შეხამების გეზს. მაგრამ ამას არ უნდა სდევდეს რაიმე მოღონენა კადრების მოძრაობაში. კომუნისტები ცენტრალური კომიტეტისადმი თავიანთ წერილებში ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე უკავია ერთი და იგივე პოსტი, ხშირად ვეღარ ხედავს ხოლმე ახალს, ეგუება ნაკლოვანებებს. აქ საფიქრალი საკმაოდ გვაქვს, უნდა ვეძებოთ ჩვენი ხელმძღვანელი კადრების უფრო აქტიური მოძრაობის გზები. უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ პასუხსაგებ პოსტებზე ქალები და ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკები.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელსაც გვაკარნახებენ პარტიული კომიტეტების განხილული პლენუმები: არც ერთი პარტიული ორგანიზაცია, არც ერთი მუშაკი, თანამდებობის მიუხედავად, არ უნდა რჩებოდეს კონტროლის გარეშე. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს სხდომებზე ამა თუ იმ საკითხზე ანგარიში ჩაბარეს მრავალი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სმხარეო და საოლქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა. მოვისმინეთ მთელი რიგი პრეკეფილი პარტიულ-განმანათლებლობიანი, რაკომბის, საქალაქო კომიტეტების, ბევრი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელთა ანგარიშები. ასეთი მუშაობა, რა თქმა უნდა, კვლავაც უნდა გაგრძელდეს, აქტიურად განვავითაროთ იგი რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. ეს შეესაბამება ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ნორმებს.

